ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის

მოქალაქის გზამკვლევი

2022 წელი, თებერვალი

სარჩევი

შესავალი 3

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 7

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 12

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 13

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2022 წლებში 15

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი 17

- ბიუჯეტის შემოსულობები 17
- ნაშთის ცვლილება 20
- ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 21
  - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 24
  - ინფრასტრუქტურის განვითარება 26
  - დასუფთავება და გარემოს დაცვა 29
  - განათლება 32
  - კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 34
  - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 39
- ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 47

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2022 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2022 წლის ბიუჯეტიდან.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტი — თვითმმართველი ერთეული საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს, ზღვის დონიდან 10 მ., ფართობი — 711,8 კვ.კმ. საშუალო წლიური ტემპერატურა 13–15 c. ნალექების საშუალო რაოდენობა წელიწადში 2500–3000 მმ, კლიმატი — სუბტროპიკული. მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ის მოქცეულია შავ ზღვას, მდინარე ჩოლოქსა და მესხეთის ქედს შორის. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 55 კმ.), სამხრეთ–დასავლეთით – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 24 კმ.), სამხრეთით – ქედის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 33 კმ.), სამხრეთ–აღმოსავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 21 კმ.). ზღვისპირა ზოლის სიგრძეა 24 კმ. მუნიციპალიტეტს უჭირავს 711,8 კმ2 ფართობი.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოიყენება 21 170 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 29,4%–ს. მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 30252 ჰექტარს, მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 42%–ს. დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, თიკერის აღკვეთილი თავისი ფლორითა და ფაუნით. იშვიათი მცენარეებითაა სავსე ისპანის ჭაობი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსების საკმაო რაოდენობისაა და ტყიანობის კოეფიციენტი 65%-ს აღემატება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია წიფელი, წაბლი და მურყანი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შედის 21 ადმინისტრაციული ერთეული (1 საქალაქო, 2 სადაბო და 9 სასოფლო თემია) და 51 დასახლებული პუნქტი (1 ქალქი, 2 დაბა და 48 სოფელი). ესენია:

1) ქალაქ ქობულეთის ადმინისტრაციული ერთეული - ქ. ქობულეთი.

2) დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეული - ჩხამური, ცეცხლაური, ჯიხანჯური.

3) დაბა ჩაქვის ადმინისტრაციული ერთეული - ჩაქვი, ბუკნარი, სახალვაშო.

4) ალამბარის ადმინისტრაციული ერთეული - ალამბარი, ზედა კონდიდი.

5) აჭყვისთავის ადმინისტრაციული ერთეული - აჭყვისთავი

6) ბობოყვათის ადმინისტრაციული ერთეული - ბობოყვათი, ქვედა დაგვა.

7) გვარას ადმინისტრაციული ერთეული - გვარა, ქვედა კონდიდი.

8) დაგვას ადმინისტრაციული ერთეული - დაგვა.

9) ზენითის ადმინისტრაციული ერთეული - ზენითი.

10) კვირიკეს ადმინისტრაციული ერთეული - კვირიკე, ზემო კვირიკე, ქვედა კვირიკე.

11) ლეღვას ადმინისტრაციული ერთეული - ლეღვა, სკურა, ცხრაფონა.

12) მუხაესტატეს ადმინისტრაციული ერთეული - მუხაესტატე.

13) საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული - საჩინო, ზემო აჭყვა, ქვემო აჭყვა.

14) ქაქუთის ადმინისტრაციული ერთეული - ქაქუთი, აჭი, გოგმაჩაური, ნაცხავატევი.

15) სოფელ ქობულეთის ადმინისტრაციული ერთეული - ქობულეთი, ზემო სამება, კოხი.

16) ჩაისუბანის ადმინისტრაციული ერთეული - ჩაისუბანი.

17) ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეული - ციხისძირი, სტალინის უბანი, შუაღელე.

18) წყავკოკას ადმინისტრაციული ერთეული - წყავროკა.

19) ჭახათის ადმინისტრაციული ერთეული - ჭახათი, დიდვაკე, ვარჯანული, კაკუჩა, კეჭიეთი, კობალაური, ოხტომი, ტყემაკარავი, ხინო.

20) ხალას ადმინისტრაციული ერთეული - ხალა, გორგაძეები, ჩაქვისთავი.

21) ხუცუბნის ადმინისტრაციული ერთეული - ხუცუბანი, ნაკაიძეები, ქვემო სამება.

სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა შეადგეს 71.8 ათას კაცს. მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს მასშტაბით ქობულეთის მუნიციპალიტეტი მე-9 ადგილზეა, ხოლო აჭარის რეგიონში ბათუმის შემდეგ ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია.

გრაფიკი #1

საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა – საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს2, რომლის სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში შეადგენს 21 კილომეტრს. სახელმწიფო მნიშვნელობის გზების სიგრძეა 19 კმ, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე – 240 კმ. საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზები მთლიანად დაფარულია შავი საფარით, ხოლო ადგილობრივი მნიშვნეობის გზების მხოლოდ 67 კილომეტრია დაფარული შავი საფარით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 87 ხიდია, მათ შორის 5 საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე, 10 - სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე და 72 - ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: http://kobuleti.org.ge/

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორცილედება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ

მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2020 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 76% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2020 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #3



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (52%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები.შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2020 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

გრაფიკი #4



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი"-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „სახელმწიფო აუდიტის შესახებ", „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

გრაფიკი #5

არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე
არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში
პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა
თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს
არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2022 წლებში

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2010-2022 წლებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება (გრაფიკი #6).

გრაფიკი #6



* 2010-დან 2019 წლის ჩათვლით მოცემულია ფაქტიური, ხოლო 2021 და 2022 წლებში გეგმიური მაჩვენებლები

საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებიდან განსხვავებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ მუნიციპალიტეტებს და მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტსაც კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები გამოეყოფათ არა სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონალური განვითარების ფონდიდან არამედ აჭარის ავტონომური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან (შეიძლება ითქვას, რომ ამ წესისგან განსხვავებულია ბათუმის მუნიციპალიტეტი, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებთან ერთად საკმაოდ ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც გამოეყოფა დიდი ოდენობის კაპიტალური სტრანსფერები).

ბოლო წლების მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამურ მოცულობაში 15%-დან 25%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნარეთ ბიუჯეტში ქობულეთის

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი უმნიშვნელოა და იგი მისი მოცულობა 0,20%-ის ფარგლებშია.

2010-დან 2022-წლამდე პერიოდში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 39,0 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროცენტულ მაჩვენებლებში 353%-ია (2010 წელს 11,0 მლნ და 2021 წელს 50,0 მლნ ლარი). ჯამში 2010-დან 2020 წლის ჩათვლით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია 306,0 მლნ ლარი ხარჯი, რაც საშუალოდ წელიწადში 27,8 მლნ ლარია.

ქობულეთის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) ყოველწლიურმა საშუალო ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეადგინა 20% (გრაფიკი #7), რაც 12%-ით მეტია საქართველოს მუნიციპალიტეტების და აჭარის რეგიონის საშუალო ჯამურ მაჩვენებელზე (8%).

გრაფიკი #7



ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2020-2022 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8



მუნიციპალიტეტებისთვის კაპიტალური ტრანსფერის ფორმირების წყაროს, განსხვავებით საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებისაგან, წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ადგილობრივ მინიციპალიტეტებს მიეცემათ სპეციალური ტრანსფერები. სწორედ შემოსავლის ეს 2 წყარო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილ ტრანფერებთან ერთად, წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსავლებს. ჯამში 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში არასაკუთარი შემოსულობების წილი მაღალია და იგი 53,0%-ს შეადგენს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ,

გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 16,9 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 21,0 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 44,9% შეადგინა. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

გრაფიკი #9



გრაფიკი #10

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში



გრაფიკ #11-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილი 2022 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #11

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ტრანსფერები



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლების ქობულეთის 2022 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 6,9% (3,219.6 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 1,2% (600.0 ათასი ლარი).

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

გრაფიკი #12



ნაშთის ცვლილება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 3,1 მლნ ლარის გამოყენებას. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გრაფიკი #13



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 45,1 მლნ ლარით (გრაფიკი #14).

გრაფიკი #14



გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2020-2022 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2020-2020 წლები).

გრაფიკი #15



გრაფიკი #16



გრაფიკი #17



2022 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარებში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	6,478.8
ინფრასტრუქტურის განვითარება	21,000.1
დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,648.8
განათლება	12,322.4
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2,639.8
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,868.8
სულ ასიგნებები	**49,958.6**

გრაფიკი #18



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 6,478.8 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 13,0%-ს შეადგენს. 2020-2022 წლებში

პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



2022 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება

ათასი ლარი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**6,478.8**
საკრებულო	1,101.8
მერია	3,304.8
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	149.8
სარეზერვო ფონდი	190.0
მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა	1,725.4
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	2.0
წინა წლეებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა	5.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



ინფრასტრუქტურის განვითარება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 42% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 21,000.3 ათას ლარს შეადგენს. 2020-2022 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21



2022 წლის ბიუჯეტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ძირითადი პროგრამები:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ინტრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

ათასი ლარი

	სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	9,819.2	9,819.2	
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9,041.9	9,041.9	
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,091.9	2,091.9	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	47.2	47.2	

გრაფიკი #22



საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 5 ქვეპროგრამა:

- ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება,);
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა;
- გარე განათების ღონისძიებები;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები;

გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 44846 გრძ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 19 500გრძ/მ, ან ბეტონის გზაა 25346 გრძ/მ)

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 36075 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება.

<u>კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</u> - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 5 ქვეპროგრამა:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები;
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპოლუატაცია;
- სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა;
- უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი;
- შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური;

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგია:

- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.
- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;
- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე;
- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად;

<u>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</u> - ფარგლებში ფინანსდება 6 ქვეპროგრამა:

- სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები;
- მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები;

- საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა;
- აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი;
- პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წყავროკას ცენტრის კეთილმოწყობა.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგია: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნა, შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი, მოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 9% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 4,648.8 ათას ლარს შეადგენს. 2020-2022 წლებში პრიორიტეტის ფარგელებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23



ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის პროგრამები	**გეგმა ათას ლარში**
დასუფთავების ღონისძიებები	64.0
ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება	3,101.2
სანაპიროსთვის დეკორატიული ურნები	40.0
სანაგვე კონტეინერების შეძენა	90.0
ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა	387.4
ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება	586.5
ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	379.8
სულ	**4,648.8**

გრაფიკი #24



<u>მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები</u> - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მთელი წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ ქობულეთის სანდასუფთავება მუნიციპალურ ტერიტორიის, 20

სოფლის დაგვა დასუფთავებას ასვე მუნიციპალიტეტის მთელი მთელი ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებლო ნარჩენების გატანას ჯამში სანდასუფთავების სამსახური ემსახურება 98090, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოქალაქეს, ამ საქმიანობას მსახურება 219 ადმინისტრაცია. ასევე, მუნიციპალიტეტი შეიძენს სანაპიროსთვის დეკორატიულ სანაგვე ურნებს.

<u>გარემოს დაცვა</u> - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

<u>მცენარეების მოვლა პატრონობა:</u>

ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელვა, ხე-მცენარეების შეხვევა გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მორწყვა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შეღებვა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატი

<u>მწვანე ზოლის მოვლა-პატრონობა:</u>

გაცელვითი სამუშაოები 66739 კვ.მ. დაფოცხვა გაწმენდა. არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა,შენახვა პატრონობა (მიმდინარე სარემონტო სამუშაოები): განათების სისტემის მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული ნათურების შეცვლა, სავალი ბილიკების და ბორდიურების შეკეთება გამოცვლა. შადრევნების (სულ 5 ერთეული) მოვლა-პატრონობა, ღობეების, სკამების, განათების ბოძების, სანაგვე ურნების, ატრაქციონების, ტრენაჟორების , შენობა-ნაგებობების და ა.შ. მიმდინა-რე რემონტი, აღდგენა/შეღებვა.

<u>ტერიტორიების დალაგება-დასუფთავება:</u>

სავალი ტერიტორიის (სულ 17891 კვ.მ.) დახვეტა, დალაგება, ნაგვის ურნების დაცლა. საპირფარეშოების დალაგება (სულ 8 ერთეული). ქობულეთის პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობა, განაშენიანება

განათლება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 12,322.4 ათასი ლარს, რაც მთლიანი ხარჯების 24,7%-ია. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის მანძილზე წარმოდგენილია გრაფიკ #25-ზე.

გრაფიკი #25



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2020-2022 წლების ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 2 პროგრამის დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2020-2022 წლებში (ათასი ლარი)

	2020	2021	2022
ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება	3,108.6	4,505.2	5,956.3
საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	1,278.3	5,342.8	6,366.0
სულ	**4,387.0**	**9,848.1**	**12,322.4**

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება - დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 3030 ბავშვი.

ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 529 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაცა. "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების " პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

<u>საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა</u> - პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია"

- ქალაქ ქობულეთში, №1 საბავშვო ბაღის მშენებელობა (აშენდება 2 სართულიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი (7 ჯგუფზე გათვლილი), ასევე პროექტის ფარგლებში მოპირკეთდება ბაღის ეზო, მოეწყობა სათამაშო მოედანი და განთავსდეგაბა საბავშვო ატრაქციონები. პროექტი არის გარდამავალი, სამუშაოები დაიწყო 2021 წელს.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა, (გარდამავალი პროექტია 2021-2022 წწ. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი თანამედროვე სტანდატების შესაბამისი (3 ჯგუფიანი) ბაღი: აშენდება ახალი შენობა, კეთილმოეწყობა ბაღის ეზო).
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა. (გარდამავალი პროექტი 2021-2022 წწ.პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი თანამედროვე სტანდატების შესაბამისი (3 ჯგუფიანი) ბაღი: აშენდება ახალი შენობა, კეთილმოეწყობა ბაღის ეზო).

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 2,639.8 ათასი ლარის გამოყოფას - მთლიანი ასიგნებების 5.3%.

გრაფიკი #26



პრიორიტეტის ფარგლებში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 2 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	ათას ლარში
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	570.1
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2,069.6
სულ	**2,639.8**

გრაფიკი #27



<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	**ათას ლარში**
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	330.7
სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა	132.5
სპორტული მოედნების მოწყობა	58.5
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	48.5
სულ	**570.1**

<u>ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა</u> - ბავშვთა და მოზართდა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

ქვეპროგრამის და მიზანი სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.

<u>სპორტული ღონისძიებების დაფინანსება</u> - სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა ემსახურება სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის ზრდას, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოვებას.

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

ქობულეთელი სპორტსმენების/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება.

<u>გრაფიკი #28</u>



<u>სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა</u> - სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.

პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.

რაგბის სპორტული კლუბი საქართველოს ეროვნული სარაგბო ჩემპიონატისა და გათამაშებებში, ბ. ლიგის, დასავლეთ საქართველოს და საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილეობისას შეეცდება დაიკავოს საპრიზო ადგილები, ვინაიდან მისი ამოცანაა, შექმნას ბრძოლისუნარიანი გუნდი და წარმატებით ასპარეზობების შედეგად, სამომავლოდ დამკვიდრდეს უმაღლეს ლიგაში. გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა გავლენას მოახდენს გუნდების შემდგომ გაძლიერებასა და წარმატებით ასპარეზობაზე. სარაგბო გუნდი წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ეტაპობრივად გამოიყენებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს: შრომითი ანაზღაურების, ოფისის ხარჯების, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებსა და გათამაშებებში მონაწილეობის შენატანის, გუნდების საწვრთნელი შეკრებების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, მივლინების, ღონისძიებების ორგანიზების დაფინანსების, სამედიცინოხარჯების, ინვენტარისა და უნიფორმების, არაფინანსური აქტივის, აგრეთვე სხვა დანარჩენი საქონელის შეძენისათვის.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 2,069.6 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 8 ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა	**ათას ლარში**
ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	654.8
ა(ა)იპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა	553.8
გურამ თამაზაშვილის სახელობისა (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'	320.1
ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	202.3
„დავით ხახუტაიშვილისა და ნინო აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის”	151.0
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	95.0
კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	77.6
ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება (5 პროექტი)	15.0
სულ	**2,069.6**

ა(ა)იპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა - კლასიკური და საესტრადო მუსიკის სწავლება; კლასიკური და თანამედროვე საესტრადო მუსიკის კომპოზიტორთა და მხატვართა შემოქმედების გაცნობა; სხვსდასხვა ხალხურ და საესტრადი ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნების დაუფლება; ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბება განათლებულ მსმენელად; სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კლასიკური და ხალხური მუსიკის ფესტივალებსა და კონკურსებში, სარაიონო ღონისძიებებში.

ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი - საბიბლიოთეკო ფონდების უზრუნველყოფა - საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად,მათი დაცვის უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა, საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკქებით, კულტურულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, გამოფენების მოწყობა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ქობულეთის კულტურის ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონსძიებების, საკლუბო

შეხვედრების ორგანიზებას. ღირშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოების, ბიბლიოთეკის კვირეულის და სხვა.

გრაფიკი #29



<u>გურამ თამაზაშვილის სახელობისა (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'</u> - ანსამბლში ღონისძიებებისა და კულტურული პროგრამების დაგეგმვა,ორგანიზება და განხორციელება; ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურულ სფეროში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობა; კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეობა; ღვაწმოსილ მუშაკთა საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების ჩატარება.

<u>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება -</u> ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის საშობაო ნუგბარის გადაცემა და ,,ალილო"-ს პროცესიის კულტურული ღონისძიებით უზრუნველყოფა, 9 აპრილის სახელობის სკვერში 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალური დაფის ყვავილებითა და გვირგვინით შემკობა. 26 მაისს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების ორგანიზება, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობები, როგორიცაა კონცერტები ცნობილი ბენდების და ეთნო-ჯაზ ჯგუფების მონაწილეობით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა საახალწლო აქტივობები და კულტურული ღონისძიებები. ინტელექტუალური და შემოქმედებითი კონკურსები გულისხმობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლის

მოსწავლეებს შორის საუკეთესოების გამოვლენას. მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების აღმოჩენას და მათ მოტივირებას სამომავლოდ ამ კუთხით განვითარებაში, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ხარისხიანი განათლების კუთხით.

ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი - ქვეპროგრამის ფარგლკებში ქობულეთის მუზეუმი განახორციელებს სხვადასხვა კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესწავლისა და კვლევის მიზნით მუნიციპალიტეტის მკვიდრებისა და სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოვლა–პატრონობას, მუზეუმში დაცული სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვას, ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 2,868.8 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 5,7%-ს შეადგენს.

გრაფიკი #30



2022 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 45% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (1,277.6 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 55% (1,591.3 ათასი ლარი).

გრაფიკი #31

ჯანმრთელობისა დაცვა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა



ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ფარგლებში ფინანსდება შემდგი პროგრამები:

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები (ათასი ლარი)

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	640.0
ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	551.5
სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	300.0
თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	88.8
იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	11.0
სულ	**1,591.3**

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა Covid-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება

სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ოჯახებისათვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმპირი/ ვეტერანი მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.

გრაფიკი #32



ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით,

სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრულვენყოფის მიზნით საჭირო გახდა:

1. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა:ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა-კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა;ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

2. ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

3. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა.

<u>სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.

ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით ასევე დაფინანსდება 2021 წლის დეკემბერში და 2022 წლის განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებები, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული იურიდიული დოკუმენტით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ:

- პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით; შშმ პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილი); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტიშვილი) ოჯახის წევრები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - სოციალური ქულით შეზღუდვის გარეშე;
- 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები;
- სარეიტინგო ქულის არმქონე ბენეფიციარები;

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის ქობულეთის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 1,277.6 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 11 ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	500.0
მუნიციპალური უფასო სასადილო	223.9
მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა	200.0
დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	110.0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	65.0
მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	50.0
გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	40.0
მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	36.0
ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	30.0
ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა	14.7
დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა	8.0
სულ	**1,277.6**

<u>სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება</u>- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარაებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. 2021 წლის შემოდგომაზე მოსულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა დიდი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, მნიშვნელოვნად გაზარდა ქირის მიმღები ოჯახების რაოდენობა და საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. წინამდებარე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში (ბინის ქირის ასანაზრაურებლად) კომპენსაციის მიღების უფლება აქვს:

გრაფიკი #33



1) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ზღვის , წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლს ზვავი და სხვა) და შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.

2) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ ოჯახს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი არ არის დანგრეული მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ზღვის , წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლს ზვავი და სვა) საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ ქონებას და გეოლოგიური-საინჟინრო დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.

3) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ ოჯახს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში და გეოლოგიური დასკვნის ან/და სხვა შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილა, საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე.

4) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით და მასში ცხოვრება შეუძლებელია.

<u>მუნიციპალური უფასო სასადილო</u> - მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს. ქ. ქობულეთში მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 320 ბენეფიციარს ერთჯერადი ცხელი საკვებით კვირაში 7-ჯერ (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ მენიუს შესაბამისად.

<u>მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა</u> - მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის, ხშირ შემთხვევაში,შემოსავლის ერთადერთი წყარო 1. სოციალური სუბსიდიაა, რომელიც მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს უკმაყოფილებს. რაც შეეხება სიძველისაგან ამორტიზირებული სახლების მოვლა-პატრონობასა და გამაგრებას, მათი შემოსავლები მეტად მწირია რომ ასეთი სამუშაოები ჩაატარონ. ზოგ შემთხვევაში ასეთი ამორტიზირებული სახლები ინგრევა და ოჯახი თავშესაფრის გარეშე რჩება. შესაძლებელია ვიღაცის სიცოცხლეც კი შეიწიროს.

იმისათვის რომ სოფელის მოსახლე მიწას არ მოწყდეს და უსახლკაროთა, ქობულეთის მუნიციპალიტეტი გეგმავს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის სიძველით ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა/გამაგრების პროგრამას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებსმოწყვლადი ოჯახებისათვის, რომელთა საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია და აღდგენას არ ექვემდებარება, მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, (მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული პროექტის, დებულების და სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით).

2. საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტში ჩართვის მიზნით მოქალაქემ მუნიციპალიტეტის მერიაში შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მომართვის შემდეგ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, შშმპ, ომისვეტერანი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანიდასხვა);

დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკუთრებაზე და სხვა უძრავი ქონების არარსებობის შესახებ;

ზ) ადმინისტრაციულერთეულშიმერისწარმომადგენლისწერილი.

<u>დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება</u> - ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

- თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 60 ლარით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე 120 ლარით (სულ 70 ბენეფიციარი);
- ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 125 ბენეფიციარის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად მატერიალურ დახმარებას. ერთ ბენეფიციარზე გაიცემა 6 ლარი ერთ ვიზიტზე.

ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2020-2022 წლების მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 131,918.8 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #34-ზე და #35 გრაფიკებზე:

გრაფიკი #34



გრაფიკი #35



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 41% (55,1 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, ამ მუხლით გაწეული ხარჯი ბოლო 3 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან გაწეულ ხარჯებს;

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 29,6 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 22%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯება 12,9 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 9%-ია და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #34 და #35 გრაფიკებზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #36-ზე.

გრაფიკი #36

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2020-2022 წლებში